## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N31

ქ.თეთრიწყარო 2019 წელი

ერთის მხრივ ააიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"-ს (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ინნოვიტა ჯორჯია"-ს (შემდგომში-მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ალან ნადარის სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, ააიპ თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრში შემავალი სოფელ სამღერეთის საბავშვო ბაღისათვის დანართი N1-ში მითითებული საქონლის შესყიდვა. /CPV-44100000, CPV-42500000, CPV-42100000, CPV-39300000/

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2 295,00 (ორი ათას ორასოთხმოცდათხუთმეტი და 00 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით. მათ შორის: /CPV-44100000-296,00ლ, CPV-42500000-14,00ლ, CPV-42100000-1635,00ლ, CPV-39300000-350,00ლ/

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3 დაფინანსების წყარო - 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

### 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

**„მიმწოდებელი" ვალდებულია:**

3.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემა;

**„შემსყიდველი" ვალდებულია:**

3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის შემდეგ აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში.

### 4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება მომწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწოდებული საქონლის შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში), სასაქონლო ზედნადები) წარმოდგენის საფუძველზე, მისი წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრისა.

4.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში.

### 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მოთხოვნილი საქონლის დროულად არ მიწოდების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0.02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

5.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 0.04%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან და მოსთხოვოს მას დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურება.

5.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომლის დროსაც შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა.

5.5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20 %-ის ოდენობით.
5.6 ხელშეკრულების 4.1 პუნქტის დარღვევის და მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი იხდის ჯარიმას, გადაუხდელი თანხის 0,02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

## 7. გარანტია

7.1 მომწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

## 8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
8.4 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

## 9. ხელშკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.
9.3 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
9.5 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.
9.6 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე

მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.7 მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.8 ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:

- მხარეთა შეთანხმებით.
- ფორს-მაჟორული სიტუაციით.
- ხელშკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

## 11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1 მიმწოდებლის მიერ, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს, თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრის დირექტორი ვაჟა კაპანაძე.

11.2 კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების პროცესის კონტროლს.

11.3 შესრულებულ მომსახურებაში გამოვლენილ ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

## 12. დავის გადაწყვეტა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. სხვა პირობები

13.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.2 ხელშეკრულება შედგენილი არის ქართულ ენაზე.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრამდე.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართი

**შემსყიდველი:**

**ააიპ „სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი“**
**თეთრიწყარო , თამარ მეფის ქ.N34**
**ს/კ 230869539**
**სახელმწიფო ხაზინა**
**ა/ა GE24NB0330100200165022**

**მიმწოდებელი:**

**შპს „ინნოვიტა ჯორჯია“**

**ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.117**
**ს/კ 405159233**
**ს/ს "საქართველოს ბანკი" BAGAGE22**
**ა/ა GE08BG0000000690128700**

VAZHA KAPANADZE

Подписано цифровой подписью: VAZHA KAPANADZE
Дата: 2019.12.26 13:09:38 +04'00'

დანართი N1

| N | საქონლის დასახელება | CPV | რაოდენობა (ცალი) | ერთეულის ფასი (ლარი) | ჯამური ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ამერიკანკა 63შ/ხ | 44163230 | 2 | 60.00 | 120.00 |
| 2 | თხევადი პაკლი | 44163241 | 2 | 22.00 | 44.00 |
| 3 | მუხლი 63 | 44134000 | 4 | 5.41 | 21.64 |
| 4 | ქურო 63 | 44167100 | 2 | 3.8 | 7.6 |
| 5 | მილი 63 | 44164300 | 4 | 22.00 | 88.00 |
| 6 | ქურო 32 | 44167100 | 3 | 0.55 | 1.65 |
| 7 | ქურო 25 | 44167100 | 3 | 0.37 | 1.11 |
| 8 | ფილტრი 32 | 42514320 | 1 | 14.00 | 14.00 |
| 9 | ვენტილი ბურთ 32 | 42131400 | 2 | 14.00 | 28.00 |
| 10 | გადამყვანი 63-50 | 44167111 | 2 | 6.00 | 12.00 |
| 11 | ვენტილი ბურთ 25 | 42131400 | 1 | 7.00 | 7.00 |
| 12 | ტუმბო GR750 | 42122000 | 1 | 1600.00 | 1600.00 |
| 13 | გაზის წნევის მოწყობილობა | 39341000 | 1 | 350.00 | 350.00 |

სულ: **2 295.00**

# ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის

# არ არსებობის შესახებ

**ქ.თეთრიწყარო** **2019წ.**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ააიპ “თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი”-ს დირექტორი ვაჟა კაპანაძე ხელის მოწერით ადასტურებს, რომ გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ვაჟა კაპანაძე

VAZHA KAPANADZE

Подписано цифровой подписью: VAZHA KAPANADZE
Дата: 2019.12.26 13:09:51 +04'00'

დირექტორი

Innovita Georgia LLC

Digitally signed by Innovita Georgia LLC
Date: 2019.12.26 12:59:39 +04'00'